

CR 166

FLEXIBLE 2-C


ორკომპონენტური ელასტიური ჰიდროსაიზოლაციო ხსნარი

მინერალურ-დისპერსიული ელასტიური ხსნარი ბეტონის კონსტრუქციების და ნაგებობათა ელემენტების ჰიდროსაიზოლაციოდ



მახასიათებლები

- ▶ გაზრდილი წყალგაუმტარობა;
- ▶ სწრაფი დატანება;
- ▶ დრეკადი, ზხარების გადაფარვის უნარი, დაბალ ტემპერატურებზე;
- ▶ ბოჭკოებით გამაგრებული;
- ▶ ცუდი ამინდისა და ყინვისადმი მედეგი;
- ▶ UV გამძლე;
- ▶ ამცირებს მტვერს
- ▶ შეთავსებადია კუთხის ლენტთან;
- ▶ იცავს რკინაბეტონის და ბეტონის კონსტრუქციებს



გამოყენების სფერო

Ceresit CR 166 - არის ორკომპონენტური ელასტიური სუსპენზია, გაძლიერებული ბოჭკოებით და შექმნილი ჰიდროსაიზოლაციისა და ტენიანობის შესაკავებლად, დეფორმირებად და არადეფორმირებად მინერალურ ზედაპირებზე - შესაფერისია შიდა და გარე გამოყენებისთვის კედლებზე, იატაკებზე და სახურავებზე. „Ceresit CR 166“-ის ელასტიურობა $\geq 0,75$ მმ. სიგანის ზხარების ამოვსების საშუალებას იძლევა – თუნდაც სიცივის პირობებში.

მისი გამოყენება შესაძლებელია აივნებსა და ტერასებზე (მათ შორის კონსოლური ტიპის), მუდმივ და დროებით სველ წერტილებში, საცურაო აუზებში, აგრეთვე კედლებსა და იატაკებზე, როგორც ჰიდროსაიზოლაციო ფენა, რომელიც გამოიყენება ფილის ადჰეზიური ნივთიერებებთან დაკავშირებული საფარების ქვეშ. იგი აგრეთვე შესაძლებელია იქნას გამოყენებული ჰიდროსაიზოლაციისთვის და ცემენტის სტრუქტურების დასაცავად, რომლებიც დამაგრებულია მიწაში (სარდაფის კედლები, ფუნდამენტები და ა.შ.), პლინტუსის ზონებსა და წყლის ავზებში, მათ შორის სასმელი წყლის, მუნიციპალური კანალიზაციის დასამუშავებელ დანადგარებში და სალექარში. Ceresit CR 166 საფარი აფერხებს კარბონიზაციის პროცესს და უზრუნველყოფს კოროზიის საწინააღმდეგო ეფექტურ დაცვას ცემენტის/რკინაბეტონის, ბეტონის მიწისა და წყლის



*30% უფრო ნაკლები მტვერი CR166-ში fiber Forces-ის ტექნოლოგიით

სტრუქტურებისთვის (მაგალითად, გარაყევი, ბეტონის სვეტები, ხიდები) მიხედვით ატმოსფერული პირობებში და აგრესიული ნივთიერებების წინააღმდეგ, წყალში გახსნით (მაგალითად, მოყინვის საწინააღმდეგო მარილი, ზღვის წყალი). UV გამძლე. VOC დაბალი ემისია. დამტკიცებული რადონის დაჭიმულობა.

მომზადება

Ceresit CR 166 შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთ მინერალურ ზედაპირებზე, რომელიც იქნება მყარი, ტვირთმზიდი. სუფთა ზხარებისაგან და ისეთი ნივთიერებების გარეშე, რომლებსაც შეეძლოთ ადჰეზიის გაუარესება (მაგალითად, ცხიმები, ბიტუმიანი ნახშირი ან მტვერი): ბეტონი (28 დღეზე მეტი ხნის), ცემენტური ბათქაშზე და კომპოზიტურ დამცავ ბეტონებზე (28 დღეზე მეტი ხნის), სწრაფად გამყარებადი დამცავი ბეტონის Ceresit CN 87 (მინიმუმ 3 დღის ხნის), კერამიკული აგურებისგან აშენებული კედლები, ღრუ და ცემენტის ბლოკებზე პირაპირი შეერთების ადგილებზე (28 დღეზე მეტი ხნის), ცემენტ-ბოჭკოვანი დაფებზე. სხვა ზედაპირებზე როგორცაა: გიფსოკარდონები, OSB და ხის ფილები (მინიმუმ 25 მმ. სისქის იატაკზე და 18 მმ. სისქის კედლებზე), ლითონსა და ფოლადზე (შესაფერისი კოროზიის საწინააღმდეგო დაცვით), ეპოქსიდურ საფარებსა და ძველ ფილებზე (მხოლოდ შენობებს შიგნით). მოაცილეთ

ჭუჭყი, არამყარი ფენები და ყველა სადგამის საფარი და გამოყოფი აგენტები. მინერალური სამშენებლო სუბსტრატებისთვის, რომლებიც უნდა იყოს სწორი და შემწვარი, რეკომენდებულია სილასპერვის ან უფრო მაღალი წყლის წნევის გამოყენება დასასუფთავებლად.

გააფართოვებ სტაბილური ზხარები და აავსებ იხინი ცემენტის სწრაფშრობადი - Ceresit CX 5 EXPRESS-ით ან ალტერნატივის სახით ეპოქსიდის ელასტიური ნივთიერებით. მოახდინებ ღრუებისა და უსწორმასწორო ფორმის მქონე ადგილების დამუშავება (გაწმენდა) სატეხის გამოყენებით მოაშორებ ან ჩამოფშვებით წვეტიანი გამონაშვებები.

კიდები უნდა იქნას ჩამოტეხილი ან მოჭრილი, ბასრი კუთხეები დაახლოებით 3 სმ. ჩახუნქილი კუთხეები უნდა იქნას მომრგვალებული ფორმის (მაგალითად, Ceresit CX 5 EXPRESS ან Ceresit CX 5 EXPRESS შერეული ქვიშასთან) 4 სმ. რადიუსით. Ceresit CR 166 საჭიროებს გამოყენებამდე მინერალური ზედაპირის წინასწარ დასუფთავებას, გუბების წარმოქმნის თავიდან აცილებით. წყლის უარყოფითი წნევის საწინააღმდეგო იზოლაციის შემთხვევაში, სუბსტრატს უნდა გააჩნდეს საკმარისი ძალა.

სხვა მასების მოშავება: GB - გამოყენებამდე გაწმინდეთ მტკერი და გამოიყენეთ Ceresit CT 17 პრაიმერი, ლითონი და ფოლადი ანტიკოროზიული ცხიმის მოცილებითა და გამტვერსასრუტებით, ეპოქსიდური საფარებიდან ცხიმის მოცილებითა და გამტვერსასრუტებით, OSB და ხის ფიციები გაუხუშეთ ქვიშის ფურცლითა გამტვერსასრუტებით, ძველ ფილებზე (მხოლოდ შიგნით) გაუხუშეთ და მოაცილეთ ცხიმი - ყველა არსებული ფილა უნდა იქნას ძლიერ შეერთებული სუბსტრატთან, მოპირკეთეთ, მოხსენით იხინი და ამოავსეთ სივრცეები „Ceresit CX 20“-ით.

გამოყენება

დატანების მეთოდიდან გამომდინარე უნდა დარეგულირდეს მასის კონსტიტენცია.

- დატანება ფუნჯით ან შესხურებით - ჩაასხით ნაერთი B (სითხე) კონტეინერში, დაუმატეთ 2 ლიტრი წყალი (1 ლიტრი წყალი 16 კგ. სათლისთვის) და დაუმატეთ ნაერთი A (ფხვნილი) დაბალი სიჩქარის მქონე შემრევი ალჭურვილი ბურღით მორევისას.

- დატანება ლილვავით - ჩაასხით ნაერთი B (სითხე) კონტეინერში, დაუმატეთ 1 ლიტრი წყალი (0,5 ლიტრი წყალი 16 კგ. სათლისთვის) და დაუმატეთ ნაერთი A (ფხვნილი) მორევისას.

- დატანება საფხველათი - ჩაასხით ნაერთი B (სითხე) კონტეინერში და დაუმატეთ ნაერთი A (ფხვნილი) მორევისას.

ნივთიერების მორევა უნდა მოხდეს მანამდე, სანამ იგი არ წარმოქმნის ერთფეროვან ნარევის, ბუმბუტებს გარეშე. დაელოდეთ დაახლოებით 5 წუთს და უცებ მოურიეთ ნივთიერებას კიდევ ერთხელ.

შესხურებით გამოყენების შემთხვევაში, მასალა დატანებულ უნდა იქნას ერთ ფენად მანამდე, სანამ სასურველი სისქე არ იქნება მიღებული. აგრეგატის ტიპის, ატმოსფერული პირობებისა და კირხსნარისთვის სუბსტრატის ტიპის მიხედვით, თქვენ შეგიძლიათ წყლის დამატება ისე, რომ არ აღემატებოდეს 2 ლიტრს 32 კილოგრამიანი აგრეგატისთვის ან 1 ლიტრს 16 კილოგრამიანი სათლისთვის. შესხურებით დატანების შემდეგ უნდა მოხდეს ზედაპირის უნდა გაგლუვდეს საფხველათი, გახსნის დროის გათვალისწინებით. თუ დატანება მოხდება ხელით, Ceresit CR 166-ის პირველი ფენა უნდა ყოველივე იქნას დატანებული ფუნჯით უხვი რაოდენობით (სასურველია ფართო კედლის ფუნჯით) ნამიან, მაგრამ არა სველ სუბსტრატზე, მაშინ როცა მომდევნო ფენების დატანება შესაძლებელია საფხველათი ან ფუნჯით ანდა ლილვავით. მეორე ფენა უნდა იქნას დატანებული მატისებრ სველ და გამაგრებულ პირველ ფენაზე, დაახლოებით 90-120 წუთის შემდეგ ჩვეულებრივ პირობებში. ნებისმიერი შემდგომი ფენა - თუ ეს საჭირო იქნება - უნდა იქნას დატანილი იგივენაირად, იმაზე ადრე არა ვიდრე დაახლოებით 5-6 საათის შემდეგ. ხელით დატანებისას, ყველა შემდგომი ფენა უნდა იქნას დატანებული დიაგონალურად.

ლილვავით ყოველი დატანების შემდეგ, ზედაპირი უნდა იქნას გასწორებული საფხველათი (სანამ ახალია). Ceresit CR 166-ის ერთი ფენის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 2.0 მილიმეტრს. უშუალოდ მასზე, თქვენ შეგიძლიათ იატაკის საფარის დაგება ცალკეულ ფენაზე, ბათქაშზე თაბაშირის გარეშე ან კერამიკულ ფილებზე, რომელზეც დაგებულია Ceresit CM ფილის ადჰეზივები ან საბაზო საღებავი დისპრესიული საღებავით. შეერთების ადგილების გაფართოების ადგილებზე, შიდა კუთხეები პრობლემური საფარით, 4 სმ. რადიუსით ან სხვადასხვა მასალის ტიპებს შორის შეერთების ადგილებით, სათანადოდ დაამაგრეთ Ceresit CL152 დასალუქი ლენტო Ceresit CR 166-ის კირხსნარის ფენებს შორის.

თუ მასალა გამოიყენება დამატებითი დაცვის უზრუნველსაყოფად რკინაბეტონის ძეგლებისთვის რკინაბეტონის ცემენტის ნაგებობაში, Ceresit CR 166 უნდა აგრეთვე იქნას დატანილი დაცული ზონის გარეთ დამატებითი ზღვარით სულ მცირე 0.5 მეტრის ოდენობით.

ხელსაწყოები და ახლად წარმოქმნილი ლაქები უნდა ჩამორეცხოს წყლით. გამაგრებისას, კირხსნარის მოცილება შესაძლებელია მექანიკურად. ჭერების ქვეშ ჰორიზონტალური იზოლაციის, ჰორიზონტალური ზოლის ფუნდამენტების იზოლაციისა და კონსოლური აივნებისა და ტერასების იზოლაციის შემთხვევაში, რეკომენდებულია ტექნიკური მატყლის ნაჭრით გამაგრება მაქსიმალური წონით 80 გრ/მ² Ceresit CR 166-ის ფენებს შორის. კონსოლური ტიპის აივნებისთვის და ტერასებისთვის, ძალიან ფრთხილად იყავით, რათა მექანიკურად არ დაზიანდოთ მანამდე დამონტაჟებული იზოლაცია. ამ მიზნით, დამავი ზალიშები უნდა იქნას გამოყენებული, რათა დაცულ იქნას იზოლაცია და იქონიოს სრიალა ფენის ფუნქცია.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

ყოველთვის დაცავით ჰიდროსაიზოლაციო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ყველა საზოგადოდ აღიარებული წესი, ისევე როგორც მოქმედი ეროვნული სტანდარტები.

ნარევი ნივთიერება უნდა გამოყენებულ იქნას 60 წუთის განმავლობაში. თუ ამ დროის განმავლობაში ეს მასალა გახდება უფრო ხისტი, რეკომენდებულია მისი დროადადრო მორევა. წყლის ან სითხის დამატება არ არის საჭირო. ლილვავით დატანების შემთხვევაში, გამოიყენეთ სტრუქტურული ნეილონის ტიპის ლილვავი სქელი მასალების გამოყენებისას (მაგალითად, ფისოვანი საფარები).

მუშაობის დასრულებამდე, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ გადამოწმდეს, იქნა თუ არა დატანებული Ceresit CR 166-ის საჭირო სისქე სუბსტრატზე - ფენების მინიმალური საბოლოო სისქე არის - 2 მმ. სამუშაო უნდა განხორციელდეს გარემო და სუბსტრატის ტემპერატურაზე +5°C და +30°C ფარგლებში, ხოლო ჰაერის ტენიანობით 80%-ზე ქვემოთ. მოცემული დროის შუალედები გამოიყენება სტანდარტული პირობების გათვალისწინებით: ტემპ. 23°C, ხოლო ფარდობითი ჰაერის ტენიანობა 50%. დატანილ კირხსნარს ესაჭიროება დაცვა სულ მცირე 12 საათით, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი სწრაფად გამშრობა და აორთქლება. საფარების დამონტაჟება პირდაპირი მზის სხივებისგან, ორპირი ქარებისგან, წვიმისგან და გაყინვისგან მის დასაცავად რეკომენდებულია. არ ეცადოთ კირხსნარის შეკეთება წყლის დასხმის ან შემუხვების მეშვეობით. დაელოდეთ მინიმუმ 12 საათი Ceresit CR 166-ის დატანისა და კერამიკული ფილების დაგებამდე, და 3 დღე საღებავის ფენების დატანებამდე. როდესაც ფარავი ჰიდროსაიზოლაციო ზედაპირს ფილებით, ყოველთვის გამოიყენეთ ფილის ადჰეზივური საშუალება მინიმუმ C2 ხარისხის. მაშინაც კი, როდესაც იგი სრულად გაშრება, საფარი არ უნდა იყოს მიმე მექანიკური ტვირთების უშუალო ზემოქმედების ქვეშ.

დასრულებული, შემკვერელი საფარი არის გამძლე UV გამოსხივების და წყლის დადებითი/უარყოფითი წნევის მიმართ 70 მ-მდე, ხოლო მისი დრეკადობა საშუალებას აძლევს მას, რომ შეკრას ზხარები, თუნდაც დაბალი ტემპერატურების ფარგლებში (ტესტირებულია EN 14891 და EN 1504-2 სტანდარტების შესაბამისად).

ახალი Ceresit CR 166 შეიცავს ბოჭკოებს, რომლებიც შემდგომ ამაგრებენ საფარს, მაშინ როცა ამავდროულად ამცირებენ მასალის დამტვერიანებას შერევის პროცესში. როდესაც ჰიდროსაიზოლაციო კედლებისა და საძირკვლის ზონების შერეობებს შიგნით თუ გარეთ - მაგალითად, ნესტის უკანა მხრიდან შეღწევის შემთხვევაში - წინასწარ დამუშავებულ ზონებში Ceresit CR 81 სილიციონის სითხით. სხვა შემთხვევაში, ორთქლგამტარი Ceresit CR 90 ლუქის საფარი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას არადეფორმირებლად სუბსტრატებზე და საძირკვლის ნამიან კედლებზე მარანის მხრიდან. თაბაშირისა და აწიკრის სუბსტრატები, ჰიდროსაიზოლაციო საფარები უნდა გაკეთდეს Ceresit CL 50 ან Ceresit CL 51 გამოყენებით. მარლის ნადების მქონე ზედაპირები უნდა დაიფაროს თაბაშირით Ceresit CO 84-ის დამატებით. Ceresit CX 5 შესაძლებელია გამოყენებული იქნას ადგილობრივი წყლის გაუმრავლად დასაბლოკად.

ნაერთი A არის კოროზიული, ხოლო ცემენტის შემცველმა მასალამ სძენს ტუტოვან თვისებებს.

შესაბამისად, კანი და თვალები უნდა იქნას დაცული. თუ ადგილი ექნება კონტაქტს, საუკუდაგულოდ დაინახეთ უხვი რაოდენობის წყლით. თვალებში მოხვედრის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. ქრომი VI-ის შემცველობა 2 ppm-ზე ნაკლებია პროდუქტის შენახვის ვაის მანძილზე.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. მხოლოდ პროფესიონალური გამოყენებისთვის. მონაცემთა უსაფრთხოების ფურცელი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.mysds.henkel.com>

შენახვა

წარმოების თარიღიდან 12 თვემდე განმავლობაში, თუ იგი ინახება პალეტებში მის თავდაპირველ და დაუზიანებელ შეფუთვებში, მშრალ და გრილ პირობებში. **ნართი B უნდა იქნას დაცული გაყინვისგან!**

შეფუთვა

კომპლექტი 32 კგ: ქაღალდის ჩანთა PE სარჩულით – 24 კგ. (კომპონენტი A) და 8 ლ. კანისტრა (კომპონენტი B).
სათლი 16 კგ.: 2 x 6 კგ. ჩანთები (კომპონენტი A) და 2 x 2 ლ. ბოთლები (კომპონენტი B).

გადამუშავება

მხოლოდ ცარიელი შეფუთვა შესაფერისი გადამამუშავებლად. ვულკანიზებული პროდუქტის ნარჩენების გადაგდება შესაძლებელია სხვა სამრეწველო ნარჩენებთან ერთად. დაუმუშავებელი პროდუქტი გადაადგეთ, როგორც სახიფათო ნარჩენები. ნარჩენების კოდი: კომპონენტი A: 170106, კომპონენტი B: 080119

ტექნიკური მონაცემები

ბაზა:	– ნართი A: ემენტის ნარევი შერჩეულ მინერალურ შემავსებლებთან, მოდიფიკატორებით და ბოჭკოებით. – ნართი B: წყალის პოლიმერული დისპერსია.
სიმკვრივე:	A ნართის ხვედრითი წონა: დაახ. 1.45 კგ/დმ ³ B ნართის ჯამური სიმკვრივე: დაახ. 1.00 კგ/დმ ³ ნართი პროდუქტი: დაახ. 1,60 კგ/დმ ³
შერევის თანაფარდობა:	კომპლექტი 32 კგ.: – ფუნჯით დასატანებლად ან შემხვევებით: A ნართის 24 კგ. B ნართის 8 ლ. პლიუს 2 ლ წყალი; – ლილვავით დატანებისას: A ნართის 24 კგ. B ნართის 8 ლ. პლიუს პლიუს 1 ლ. წყალი; – საფხეველათი დატანებისას: A ნართის 24 კგ. B ნართის 8 ლ. სათლი 16 კგ.: – ფუნჯით დასატანებლად ან შემხვევებით: A ნართის 12 კგ. B ნართის 4 ლ-ზე პლიუს 1 ლ. წყალი; – ლილვავით დატანებისას: A ნართის 12 კგ. B ნართის 4 ლ-ზე პლიუს 0,5 ლ. წყალი; – საფხეველათი დატანებისას: A ნართის 12 კგ. B ნართის 4 ლ-ზე.
მოხმარება:	– ტენიანობის გაუმტარი, ჰიდროსაიზოლაციო და დამლუქავი წნევის ქვეშ მომდინარე წყლისგან საჭირო სისქით 2 მმ.: დაახ. 3,5 კგ/მ ² – ხაოიანი ნაჭრის ჩანართით დასატანად სისქე 2,5 მმ.: დაახ. 4,3 კგ/მ ² ;
დატანების ტემპერატურა:	+5°C-დან +30°C-მდე
დატანების დრო:	დაახ. 60 წუთ.
ფილების დაფიქსირება:	მინ. 12 საათის შემდეგ.
შეღებვა:	მინ. 3 დღის შემდეგ.
გათბობის უკუშეღებვა:	მინ. 3 დღის შემდეგ
სრული დატვირთვა:	7 დღის შემდეგ
პროდუქტის მონაცემები:	2 მმ. მშრალი საფარის სისქე

პარამეტრი	განცხადებული დირექტული ტესტირების მეთოდი
EN 1504-2 სტანდარტის შესაბამისად	
ხანძრისადმი რეაქცია:	კლასი E EN 13501-1
CO ₂ გამტარიანობა:	Sd CO ₂ > 50 m EN 1062-6
წყლის ორთქლის გამტარიანობა:	კლასი I Sd < 5 m EN ISO 7783-1 EN ISO 7783-2
კაპილარული აბსორბცია და წყლის შეღწევადობა:	W < 0,1 kg/m ² *h ^{0,5} EN 1062-3

ადპეზია თერმული შეთავსებადობის ქვეშ: ჭეხა-ქუხილის ციკლის შემდეგ და გაყინვა-გაღვლის ციკლის შემდეგ მოყინვის საწინააღმდეგო მარილის დაყრით:	≥ 0,8 MPa, დაკმაყოფილდა	EN 13687-1 EN 13687-2
გამძლეობა ძლიერი ქიმიური აგრესიისადმი:	კლასი II: • აუზის წყალი, • ზღვის წყალი, • თხევადი ხსნარის შემცველობა ~ 3000 მგ/ლ. Mg ²⁺ + იონები, • წყალი pH-ით დაახ. 4.0, • 1% თხევადი ფენოლის ხსნარი, • 3% სარეცხი საშუალების ხსნარი, • თხევადი ხსნარი შემდეგი შემცველობით ~ 6000 მგ./ISO42- იონები, • თხევადი ხსნარი შემდეგი შემცველობით ~ 100 მგ./ლ. NH ₄ + იონები, • გაჯერებული ხსნარი Mg ²⁺ + იონები, • თხევადი ნაკელი.	EN 13529
ზზარის ამოვსების უნარი (შიდა ჩანართიანი საფარისთვის)	კლასი A2 ≥ 250 μm (-20°C)	EN 1062-7
ადპეზიის სიმტკიცე	სისტემა ზზარის საფარის	EN 1542
საფარის სიმტკიცის გამოცდა:	სიმტკიცის გამოცდა: ამოვსების უნარი ან ელასტიური სისტემები უტრაფიკო დატვირთვით 0,8 N/mm ²	
დარტმისადმი გამძლეობა:	კლასი II ≥ 10 Nm, ზზარების, ნაკარებისა და დელამინაციის გარეშე	EN ISO 6272-1
UV მდგრადობა	ბუმტუვების, ზზარებისა და დელამინაციის გარეშე 1000 საათის შემდეგ.	EN 1062-11
EN 14891 სტანდარტის შესაბამისად		
საწყისი დაჭიმვის ადპეზიის სიმტკიცე:	≥ 0,5 N/მმ ²	A.6.2
დაჭიმვის ადპეზიის სიმტკიცე წყალთან კონტაქტის შემდეგ:	≥ 0,5 N/მმ ²	A.6.3
დაჭიმვის ადპეზიის სიმტკიცე თერმოდამბლბის შემდეგ:	≥ 0,5 N/მმ ²	A.6.5
დაჭიმვის ადპეზიის სიმტკიცე გაყინვა-დნობის ციკლების შემდეგ:	≥ 0,5 N/მმ ²	A.6.6
დაჭიმვის ადპეზიის სიმტკიცე ხისტ წყალთან კონტაქტის შემდეგ:	≥ 0,5 N/მმ ²	A.6.9
დაჭიმვის ადპეზიის სიმტკიცე ქლორთან წყალთან კონტაქტის შემდეგ:	≥ 0,5 N/მმ ²	A.6.7
ჰიდროიზოლაცია:	შელწევის გარეშე და ≤ 20 გრ. წონის მომატება	A.7
ზზარის ამოვსების უნარი სტანდარტულ პირობებში:	≥ 0,75 მმ.	A.8.2
ზზარის ამოვსების უნარი დაბალ ტემპერატურაზე (- 5°C):	≥ 0,75 მმ.	A.8.3
დადებითი წყლის წნევა	≤ 0,7 MPa	A.7
უარყოფითი წყლის წნევა	≤ 0,7 MPa	ZUAT-15/IV.13/2002

პარამეტრი განცხადებული ღირებულება ტესტირების მეთოდი

EN 1542:2000 სტანდარტის შესაბამისად მშრალ ზედაპირულ პირობებში

ადჰეზია კერამიკული აგურებით შექმნილ სუბსტრატზე	+
ადჰეზია სილიკატის აგურებით შექმნილ სუბსტრატზე	+
ადჰეზია გაზობეტონისგან შექმნილ სუბსტრატზე	+
ადჰეზია ფოლადის ზედაპირზე დაფარული ანტიკოროზიული საფარით	+
ადჰეზია ბოჭკო-ცემენტოვანი ფიფარზე	+
ადჰეზია ეპოქსიდის ფისოვან საფარზე	+
ადჰეზია GB-ზე	+
ადჰეზია OSB-ზე	+
ადჰეზია კერამიკულ ფილებზე	+
საწყისი ადჰეზია 12 საათის შემდეგ	+

რადონის დიფუზიის კოეფიციენტი D:	1,710 [±] ± 0,2.10 [±] m ² /s	ISO/TS11665-13 მეთოდი A 2,5 მმ. სისქისთვის
---------------------------------	--	--

პარამეტრები სპრეის გამოყენებისას: წნევა: 180-230 ბარი საქმენის N: 461

ემისია: ძალიან დაბალი ემისია, EC1Plus, EMICODE


უმალესი კლასის EMICODE® EC1 მრავალი წლის განმავლობაში თავი დაიმკვიდრა, როგორც სტანდარტი იმ პროდუქტებისთვის, რომლებიც ძალიან მცირედ ემისიურია. ამ ეტიკეტზე მოცემული მასალები აკმაყოფილებენ ძალიან მკაცრ ჯანდაცვისა და გარემო მოთხოვნებს. პრემიუმ კლასის EMICODE®, EC1PLUS განსაზღვრავს იმის ლიმიტს, თუ რა არის ტექნიკურად შესაძლებელი დღეის მდგომარეობით.

დანერგული 2010 წელს, იგი ადგენს უფრო მაღალ და მკაცრ ზღვრულ ღირებულებებს ვიდრე კატეგორია EC1.

პროდუქტს გააჩნია PZH სერტიფიკატი სასმელ წყალთან კონტაქტისთვის ნომერი: B-BK-60210-1548/20 მოქმედების ვადით 18.11.2023 წლამდე.

პროდუქტი აკმაყოფილებს PN-EN 1504-2:2006, პროდუქტი ბეტონის ზედაპირის დასაცავად – საფარის გამოყენება სტრუქტურულ და არასტრუქტურულ შეკეთებებისას მშენებლობისას და საინჟინრო საწყისი სამუშაოს დასაცავად, ტენიანობის საკონტროლოდ, ქიმიური მდგრადობისთვის, ელექტრო წინააღმდეგობის გასაზრდელად და იგი აკმაყოფილებს PN-EN 14891 სტანდარტს, სითხის სახით გამოყენებული წყლის შეუღწევადი პროდუქტები კერამიკული ფილების დაგების შეერთების ადგილების ქვეშე გამოსაყენებლად ადჰეზივებით – CM ცემენტოვანი სითხის სახით გამოსაყენებელი წყლით შეუღწევადი პროდუქტებით – O1 გაუმჯობესებული ბზარის ამოვსების უნარით დაბალ ტემპერატურაზე (-5°C) – ქლორანი წყლისადმი მდგრადი (P), გააჩნია ძირითადი მახასიათებლების დეკლარაცია N: 01704, თარიღი: 22.12.2021 წ. პროდუქტს გააჩნია ტესტირების დასკვნა რადონის დიფუზიის განსაზღვრით. რადონის დიფუზიის განსაზღვრის კოეფიციენტი გაცემული პრადის ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ, N: 124004/21, გაცემული: 18.01.2021 წ.

21 EN 14891:2012 1487	
ცემენტოვანი სითხის სახით გამოსაყენებელი წყალგამტარი პროდუქტი	
საწყისი დაჭიმვის ადჰეზიის სიმტკიცე	≥ 0,5 N/mm ²
საწყისი დაჭიმვის ადჰეზიის სიმტკიცე წყალთან კონტაქტის შემდეგ	≥ 0,5 N/mm ²
საწყისი დაჭიმვის ადჰეზიის სიმტკიცე თერმოდამბელების შემდეგ	≥ 0,5 N/mm ²
საწყისი დაჭიმვის ადჰეზიის სიმტკიცე გაყინვა-გაღების ციკლების შემდეგ	≥ 0,5 N/mm ²
საწყისი დაჭიმვის ადჰეზიის სიმტკიცე ხისტ წყალთან კონტაქტის შემდეგ	≥ 0,5 N/mm ²
ჰიდროფობიზაცია	შელწვეის გარეშე ≤ 20გრ. წონის მომატება
ბზარის ამოვსების უნარი სტანდარტულ პირობებში	≥ 0,75 მმ.


 „Henkel Polska Operacja Sp. z o.o.“
 02-672 ქვარშავა,
 დომანიევსკას ქუჩა, #41
 Ceresit CR 166 / ტეკსტა-ლექსეკა 2K
 01704

16
 EN 1504-2:2004
 1488
 პროდუქტი ბეტონის ზედაპირის დასაცავად. ფენაზე დასატანებლად. სტრუქტურული და არასტრუქტურული რემონტები მშენებლობებსა და საინჟინრო საქმეში.
 ინგრესული დაცვა, ტენიანობის კონტროლი, ქიმიური მდგრადობა, ელექტრო წინააღმდეგობის გაზრდა.

ხანძრისადმი რეაქცია	E, Efl კლასი
CO ₂ შეღწევადობა	SD > 50 მ.
წყლის ორთქლის შეღწევადობა μ	კლასი I; SD < 5 მ.
კაპილარული აბსორბცია და წყლის შეღწევადობა	W < 0,1 kg/m ² ·h ^{0,5}
ადჰეზია თერმული შეთავსებადობის შემდეგ	≥ 0,8 N/mm ²
ადჰეზიის სიმტკიცე რღვევის დროს	სისტემები ნაკარების ამოვსების უნარით ან დრეკადი მოძრავი ტვირთის გარეშე: ≥ 0,8 [N/mm ²]
გამძლეობა ძლიერი ქიმიური აგრესიისადმი	კლასი II

დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.henkel-dop.com>
პროდუქტს გააჩნია ძირითადი მახასიათებლების შესახებ დეკლარაცია N: 01704 თარიღი: 22.12.2021 წ.
საქარბნო წარმოების კონტროლის სერტიფიკატი N: 1488-CPR-0658/Z გაცემული „Instytut Techniki Budowlanej“-ის მიერ.

ზემოთ მოცემული ინფორმაცია, კერძოდ, რეკომენდაციები ჩვენი პროდუქტების დასამუშავებლად და გამოსაყენებლად, ეფუძნება ჩვენს პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას. ვინაიდან მასალები და პირობები შესაძლოა განსხვავდებოდეს თითოეული დამკვეთის გამოყენების წესისგან და ამგვარად, ცდება ჩვენს გავლენას, ჩვენ გირჩევთ, რომ თითოეულ შემთხვევაში ჩატარდეს საკმარის რაოდენობის ტესტირება ჩვენი პროდუქტების შესაფერისობის დადასტოვებლად და დამკვეთის გამოყენების მეთოდსა და გამოყენებისასთან დაკავშირებით. სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ იქნება ადგილობრივი წინამდებარე ტექნიკური მონაცემების უფრცლის შინაარსის ან რაიმე მოცემული სიტყვიერი რჩევის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს ნებაყოფლობითი განზრახვის ან უხეში დაუდევრობის ფაქტს ჩვენი მხრიდან.
 წინამდებარე ტექნიკური მონაცემთა უფრცელი ანაგვლებს ყველა აქამდე არსებულ რეაქციებს. გარდა ამ ტექნიკური მონაცემთა უფრცელში მოცემული ინფორმაციისა, აგრეთვე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ორგანიზაციებისა და საჯარო ასოციაციების შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებებისა და წესების დაცვა, აგრეთვე მოქმედი DIN სტანდარტების დაკმაყოფილება. სამუშაოები უნდა განხორციელდეს მშრალ პირობებში, გარემო და სუბსტრატის ტემპერატურით +23° C ხოლო ჰაერის ფარდობითი ტენიანობით 50%. სხვადასხვა პირობებში, მასალის პარამეტრები შესაძლოა განსხვავდებოდეს.